შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში

ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერითი უნარ-ჩვევების განვითარება ფილმების გამოყენებით განათლების ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აქტივობების დახმარებით (აზერბაიჯანული უნივერსიტეტების მაგალითზე)

აიდინ ალიევი

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ეკატერინე ფიფია

პროფესორი, დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

ექსპერტები:

1. პროფ. დოქტორი, ნიკოლოზ ფარჯანაძე
2. ასოც. პროფ. დოქტორი, მაია ჩქოტუა

ოპონენტები:

1. ასოც. პროფ. დოქტორი, მაისა მაჰფოუზ
2. ასოც. პროფ. დოქტორი, ნათია ზვიადაძე
3. პროფ. დოქტორი, მარინე ჩაგელიშვილი

შესავალი

ციფრულმა ეპოქამ ბევრი სიახლე და ამავდროულად, ცვლილება შეიტანა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრების წესში. თანამედროვე სამყაროში საინფორმაციო-კომუნიკაციურმა ტექნოლოგიებმა განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. შესაბამისად, ეს ციფრული სამყარო მოითხოვს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება ძალიან მნიშვნელოვანია. აშკარაა, რომ ეს ახალი სამყარო თავისი მოთხოვნებით გულისხმობს ისეთი მოქალაქეების დასაქმებას, რომლებიც ფლობენ 21-ე საუკუნის უნარებს. ეს ტენდენცია, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად აისახება განათლების სისტემაზეც. ტექნოლოგიურმა განვითარებამ ახალი მუხტი შეიტანა საკლასო ოთახებში- სტუდენტები თანდაყოლილი ციფრული უნარებით, რომლებიც მასწავლებლებისგან მოითხოვენ ტექნოლოგიით გაჯერებული რეალობის სასწავლო პროცესში რეალიზებას.

ტექნოლოგიების გამოყენება ფართოდ მიღებული გახდა თანამედროვე ინგლისური ენის სწავლებაში. შეიცვალა ტრადიციული სწავლების მეთოდები და გადავიდა ახალ ეტაპზე, სადაც მოხდა მათი მნიშვნელოვანი ინტეგრირება სხვადასხვა ტიპის ციფრული გამოყენების აპლიკაციებთან. ვებ 2-ის საუკუნეში, ბევრი მკვლევარი მიიჩნევს ბლოგს და ვიკის, როგორც ყველაზე პროდუქტიულ აპლიკაციებს წერითი უნარის სწავლებისას (Sun & Chang, 2012; Warschauer, 2009; Sayed, 2010; Wang & Beasley, 2008). ინგლისური ენის სწავლების პროცესში ვიკისა და ბლოგის გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კავშირი მწერალსა და მკითხველს შორის. ეს ინტერაქციული პროცესი, თავისმხრივ, იწვევს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში (Brad, John, & Naeko, 2007). მსგავსი ტიპის ციფრული აპლიკაციები ძირითადად მოიცავენ თანამშრომლობითი წერითი დავალების ტიპებს, რაც გულისხმობს თანამშრომლობითი უნარის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებას (Hughes & Narayan, 2009; Ketih, 2006; Saovapa, 2010). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამშრომლობითი

წერითი დავალების ტიპებზე მუშაობის შედეგად სტუდენტებს უნვითარდებათ მაღალი პასუხისმგებლობისა და ორგანიზებულობის გრძნობა, რადგან მათი წერითი ნამუშავერები იკითხება მათი თანატოლების მიერ.

ფილმები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ინგლისური როგორც უცხოური ენის შესწავლის პროცესში (Quiang, Hai, & Wolff, 2007; Brown, 2010; Khoshniyat & Dowlatabadi, 2014). სახელმძღვანელოებთან შედარებით, ფილმებში გამოყენებული ბუნებრივი ენა და კონტექსტი უფრო მომხიბვლელია სტუდენტისთვის (Xhemaili, 2013). ფილმი გამოიყენება, როგორც ენის შესწავლის მდიდარი წყარო, რადგან ის მოიცავს მისი გამოყენების ზუსტ კონტექსტსა და რეალურ სიტუაციებს, სადაც გამოყენებულია მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ადამიანების სხვადასხვა გამოთქმის ნიმუშები. ფილმების გამოყენება ინგლისური როგორც უცხოური ენის შესწავლის პროცესში საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაეცნონ სამიზნე ენის კულტურას და შეისწავლონ ენისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისებები, როგორიცაა საუბრის მანერა, ტონი, გამოთქმა, ტემბრი და ა.შ. (Webb, 2010; Gruba, 2006). სამიზნე ენის კულტურის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია ტექსტის გააზრების, წერითი მიმართვისა და საუბრის დროს რეალურ კონტექსტში, რაც ძალიან რთულად მისაღწევია მხოლოდ საკლასო ოთახში. შესაბამისად, ფილმები ხელს უწყობს კულტურისა და პარალინგვისტური თვისებების ცოდნის შეძენას, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს ენა გამოიყენოს რეალურ კონტექსტში ეფექტიანად (Guichon & McLornan, 2008; Sherman, 2003). ინგლისური ენის შემსწავლელები უფრო დაინტერესებული და ჩართული არიან წერითი უნარის განმავითარებელ პროცესში, როცა სწავლება ხორციელდება ფილმების საშუალებით (Esra & Tjut, 2013). ფილმების მეშვეობით შესაძლებელია ახალი ლექსიკური ერთეულების შესწავლა კონტექსტში და ინფორმაციის მიღება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საინტერესო იდეების გენერირებისთვის წერითი დავალების შესრულებისას (Ergenekon, 2016). ფილმების როლი აღსანიშნავია კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში და ზოგადად, თემის წერის პროცესში ახალი იდეებისა და აზრების ჩამოყალიბებაში (Saeideh & Sepehran, 2014).

წარმოდგენილი დისერტაცია ეხება წერითი უნარის სწავლებასა და შესწავლას ინგლისური როგორც უცხოური ენის კონტექსტში. პროფესიული ლიტერატურა ხაზს უსვამს წერითი უნარის კომპლექსურობას. სირთულედ მიიჩნევა კარგად ორგანიზებული და შინაარსობრივად გამართული ესეს დაწერა უცხოურ ენაში (Nunan, 1999). ბევრი ადამიანისთვის წერითი უნარის შესწავლა უფრო რთულია ვიდრე სხვა ენობრივი კომპეტენციების დაუფლება (Abdel, 2010). ბევრი მკვლევარის მიხედვით, ინგლისური ენის შემსწავლელებისთვის წერითი უნარის შესწავლის პროცესში სირთულეს წარმოადგენს შემდეგი ფაქტორები: ენის სისწორე, ლოგიკური ბმულობა, შინაარსის ხარისხი, კომუნიკაციის ეფექტიანობა, თანმიმდევრობა, კრიტიკული აზროვნების დონე, მღელვარების დონე და ა.შ. (Tony, 1993, p. 666; Horwitz, 2008). შესაბამისად, აზრების სრულყოფილად წერილობითი გადმოცემა უცხოურ ენაში დიდ წარმატებად ითვლება (Elite & Olshtain, 2001). ზემოთგანხილული სირთულეების მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი გარემოებები: ინგლისური ენისა და ზოგადი ცოდნის დაბალი დონე, რომელიც ხელს უშლის აზრების გენერირებას, არასწორი წერის ტექნიკა, სტრატეგიები და მოტივაციის დაბალი დონე.

იმის გათვალისწინებით, რომ წერითი უნარის სწავლებაც და შესწავლაც სირთულეს წარმოადგეს მასწავლებლებისთვისა და სტუდენტებისთვის, კვლევის მიზანს წამოადგენს ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერითი უნარ-ჩვევების განვითარება ფილმების გამოყენებით განათლების ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აქტივობების დახმარებით.

კვლევის მიზანი

დისერტაციის მიზანია შეიმუშავოს უცხოური ენის წერითი უნარ-ჩვევების განმავითარებელი სტრატეგიები ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აქტივობების დახმარებით. საკვლევი თემა მიზნად ისახავს მკითხველს მიაწოდოს ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც გულისხმობს

სტუდენტების წერითი კომპეტენციის განვითარებას და აგრეთვე, მათი მოტივაციის ზრდას. დისერტაციის მიზანია:

- განსაზღვროს აზერბაიჯანელი სტუდენტების დამოკიდებულება წერის გაკვეთილების მიმართ და მათი მზაობა ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებაში;
- შექმნას მოდელი, რომელიც გააერთიანებს ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიების გამოყენებას აზერბაიჯანელი სტუდენტების წერითი უნარ-ჩვევების განსავითარებლად და მათი მოტივაციის დონის ზრდას წერის გაკვეთილებზე

საკვლევი თემის მნიშვნელობა

აზერბაიჯანის რესპუბლიკა სწრაფად განვითარებადი ქვეყანაა ყველა მიმართულებით. აზერბაიჯანში განათლება ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების ფუნდამენტად მოიაზრება. შესაბამისად, მთავრობა ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს განათლებას, ენების ცოდნას და განსაკუთრებით, ზრუნავს ინგლისური ენის დონის ამაღლებაზე ქვეყანაში. ინგლისური როგორც უცხოური ენის შესწავლის პროცესი თანამედროვე ტენდეციებით არის გაჯერებული. ბევრ ენათა სკოლაში და ინსტიტუტში ხორციელდება განათლების ტექნოლოგიებისა და ფილმების ინტეგრირება სწავლის პროცესში. მიუხედავად ამისა, ფილმებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ენის შესწავლის პროცესში მაინც არ არის სასურველ დონეზე განვითარებული. რაც შეეხება ინგლისური ენის წერის გაკვეთილს, აქ შეიმჩნევა განათლების ტექნოლოგიების გამოყენების ნაკლებობა და თითქმის საერთოდ არ ხდება ფილმების ინტეგრირება ამ პროცესში. ზემოთაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, საკვლევი თემა მნიშვნელოვანი და აქტუალურია რეგიონისთვის.

სიახლე

ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ვებ 2 ტექნოლოგიების ინგლისური როგორც უცხოური ენის წერითი უნარის შესწავლის პროცესში გამოყენებას და მის გავლენას ამ უნარ-ჩვევის განვითარებაზე (Craig, 2007; Godwin-Jones, 2008). ლიტერატურის მნიშვნელოვნად უფრო დიდი ნაწილი ეთმობა ფილმების ინტეგრირების ეფექტიანობას მოსმენისა და საუბრის უნარ-ჩვევების განვითარებაში, მაშინ როდესაც ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა მათ გამოყენებას წერითი უნარის განვითარებაში (Baratta & Jones, 2008; Kasper, 2000). წარმოდგენილი კვლევა სწავლობს სრულიად ახალ მიდგომას წერითი უნარ-ჩვევის სწავლების პროცესში. დისერტაციის სიახლე განპირობებულია ორი წამყვანი წყაროს გაერთიანებით, კერძოდ ფილმებისა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება წერითი უნარ-ჩვევის სწავლების პროცესში. მოდელი, რომელიც გულისხმობს ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერითი უნარ-ჩვევების განვითარებას ფილმების გამოყენებით განათლების ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აქტივობების დახმარებით, არის თავად სიახლე. მსგავსი ტიპის მოდელი არ არის შესწავლილი იმ ქვეყანაში, სადაც ექსპერიმენტი ჩატარდა. საკვლევი თემის ორიგინალობა მდგომარეობს იმაში, რომ შეგროვდა მნიშვნელოვანი მონაცემები სხვადასხვა წყაროდან სიღრმისეული ანალიზისთვის.

საკვლევი კითხვები:

დისერტაციის საკვლევი კითხვებია:

- როგორია აზერბაიჯანელი სტუდენტების დამოკიდებულება წერის გაკვეთილების მიმართ?
- როგორია აზერბაიჯანელი სტუდენტების მზაობა ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებაში?
- ახდენს ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირება პოზიტიურ ზეგავლენას სტუდენტის წერითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე?

- ზრდის შემოთავაზებული მოდელი აზერბაიჯანელი სტუდენტების მოტივაციის დონეს?

კვლევის ჰიპოტეზა

კვლევის ჰიპოტეზაა:

- ფილმების გამოყენებით განათლების ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აქტივობები ანვითარებს ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერით უნარ-ჩვევებს.
- ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიების ინტეგრირება ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერით გაკვეთილზე ზრდის სტუდენტების მოტივაციას.

კვლევის მეთოდები

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები იქნა გამოყენებული საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად. კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები გახლავთ:

- ლიტერატურის ანალიზი საკვლევი თემის ირგვლივ
- კითხვარი (წინასწარი, შუალედური და საბოლოო)
- ექპერიმენტი
- ტესტების შედეგების ანალიზი (წინასწარი, შუალედური და საბოლოო შეფასებები)
- კითხვარებისა და ექსპერიმენტის შედეგების სტატისტიკური ანალიზი

დისერტაცია მოიცავს ხუთ კვლევას. პირველი კვლევა ეხება აზერბაიჯანელი სტუდენტების ინგლისური ენის წერის გაკვეთილების მიმართ დამოკიდებულების შესწავლას. კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მიდგომა და შემუშავდა კითხვარები ონლაინ ფორმაში. მეორე კვლევა ეხება სტუდენტების მზაობის

დონის გარკვევას ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიების წერითი უნარის სწავლების პროცესში ინტეგრირებაში. საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად, მკლვლევარმა გამოიყენა კითხვარები. სტუდენტების მზაობისა და დამოკიდებულების შესწავლის შემდგომ, მკლვლევარმა ჩაატარა ექსპერიმენტი ქაფქაზის უნივერსიტეტში, აზერბაიჯანში. სტუდენტების ინგლისური ენის დონის გათვალისწინებით მოხდა საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების შემთხვევითი გადანაწილება. ექსპერიმენტის დაწყებიდან ორ კვირაში ექსპერიმენტული ჯგუფში ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა (SurveyMonkey). გამოკითხვის მიზანი იყო სტუდენტების დამოკიდებულების გაგება განხორციელებული ინოვაციური მოდელის შესახებ. ექსპერიმენტი გაგრძელდა ორი სემესტრის განმავლობაში, ერთი აკადემიური წელი (2015-2016 წლის გაზაფხულის სემესტრი და 2016-2017 წლის შემოდგომის სემესტრი). ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ ჩატარდა შემდგომი გამოკითხვა სტუდენტების კმაყოფილების დონის დასადგენად. რვა, მოხალისე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ინტერვიუში. შედეგების სტატისტიკური დამუშავება მოხდა E-views- ს პროგრამის მეშვეობით და დისერტაციაში წარმოდგენილია ამ მონაცემთა ანალიზის დეტალური აღწერა.

თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

დისერტაციის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმ საკითხების ღრმა ანალიზში, რომელიც ეხება ფილმების ინტეგრირებას ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერით გაკვეთილზე (Dupuy, 2001; Baratta & Jones, 2008; Kasper, 2000). წარმოდგენილი კვლევა ეხება ფილმების ინტეგრირებას წერის სწავლების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე და მათ როლს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაში. დისერტაცია ხაზს უსვამს ვებ 2 აპლიკაციების გამოყენების აუცილებლობას წერითი უნარის სწავლებისას და მათ როლს სტუდენტების მოტივაციის ზრდაში (Lin, Li, Hung, & Huang, 2014; Eastment, 2005; David & Michelle, 2009). დისერტაციაში განხილულია რამოდენიმე კვლევა, რომელიც ეხება ფილმებისა

და განათლების ტექნოლოგიების ინტეგრირებას ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერით გაკვეთილზე და მათ ზეგავლენას სტუდენტების წერითი კომპეტენციის განვითარებაზე (Mirvan, 2013; Champoux & Robert, 2007; Raitman, Augar, & Zhou, 2005; Ketih, 2006). კვლევისა და ექსპერიმენტის შედეგები მტკიცედ არწმუნებს ინგლისური ენის მასწავლებლებს პროდუქტიულად გამოიყენონ ფილმები და ციფრული ტექნოლოგიები წერის გაკვეთილზე.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს ფილმებისა და ციფრული ტექნოლოგიების წერის გაკვეთილზე ინტეგრირებისათვის საჭირო სტრატეგიების შემუშავებაში. დისერტაციაში განხილულია სხვადასხვა მკვლევარების მიერ ჩატარებული მსგავსი ექსპერიმენტის შედეგები, სტრატეგიები და ტექნიკები. მკვლევარის მიერ შემუშავებული მოდელი, რომელიც გულისხმობს ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერითი უნარ-ჩვევების განვითარებას ფილმების გამოყენებით განათლების ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აქტივობების დახმარებით, არის ღრმა პრაქტიკული მნიშვნელობის, რადგან მოიცავს მკვლევარის მიერ შემუშავებულ აქტივობებს, სადაც დეტალურად არის აღწერილი ყოველი პროცედურა, მიზანი და შედეგი. ექსპერიმენტის შედეგად მიღებული შედეგები საყურადღებოა ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის, რათა მოხდეს არსებული სწავლების მეთოდების გადახალისება და წერის გაკვეთილების უფრო საინტერესო პროცესად ჩამოყალიბება, რაც თავისმხრივ გაზრდის სტუდენტის მოტივაციას.

თავების ორგანიზება

დისერტაცია შედგება ოთხი თავისგან. პირველი თავი მიმოიხილავს ინგლისური ენის წერის უნარის სწალების თავისებურებებს, მოტავიციის როლს, სტრატეგიებსა და წერის უნარის სწავლების თავისებურებებს. მეორე თავი ეხება ლიტერატურის

მიმოხილვას განათლების ტექნოლოგიებისა და ფილმების ინტეგრირების თავისებურებებზე წერითი კომპეტენციის განსავითარებლად. მესამე თავი ეხება შემოთავაზებული მოდელის ინტეგრირებისთვის საჭირო პრაქტიკული სტრატეგიების განხილვას. მეოთხე თავი ეხება კვლევის დიზაინს, შედეგების ანალიზს, განხილვებს, დასკვნებს, რეკომენდაციებს და წარმოადგენს შემდგომი კვლევის განვითარების შესაძლებლობებს. დისერტაცია სრულდება გამოყენებული ლიტერატურული წყაროების მითითებითა და დანართებით.

პირველი თავი - ლიტერატურის მიმოხილვა: წერითი უნარის სწავლება ინგლისური როგორც უცხოური ენის კონტექსტში

წერითი კომპეტენცია კომუნიკაციის ერთერთ მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება. პროფესიულ ლიტერატურაში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა წერითი უნარ-ჩვევის სწავლებისა და სწავლის პროცესს მისი სირთულიდან გამომდინარე. წერითი კომპეტენციის მაღალ დონეზე განვითარება კი თავისმხრივ აუცილებელია განათლებისთვის და კარიერისთვის. წერის პროცესში სტუდენტი აზრებს გამოხატავს სიტყვების, წინადადებებისა და პარაგრაფების მეშვეობით, რაც ენობრივი კომპეტენციის განვითარებას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ უცხოური ენის შემსწავლელთათვის კარგად განვითარებული და ორგანიზებული ესეს დაწერა დიდ სირთულეს წარმოადგენს გამომდინარე იქიდან, რომ მათ მოეთხოვებათ სხვადასხვა ლინგვისტური თუ არალინგვისტური კომპეტენციების ფლობა, როგორიცაა გრამატიკა, ლექსიკა, სინტაქსი, დაგეგმვის სტრატეგიები და ა.შ. წერითი პროცესი მოითხოვს მწერლისგან გამოცდილებას, საკითხის ზოგად ცოდნას, ტექნიკურ უნარებსა და კრიტერიუმებს. აგრეთვე, წერითი პროცესი გულისხმობს სამიზნე აუდიტორიისა და ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებას და ისეთი ხერხების გამოყენებას, რომელიც საშუალებას მისცემს მკითხველს გაიაზროს და გაანალიზოს ავტორის იდეა.

ინგლისური როგორც უცხოური ენის წერითი უნარ-ჩვევების სწავლების მეთოდებმა და მიდგომება ცვლილებები განიცადა დროის სხვადასხვა მონაკვეთში, რამაც გამოიწვია სხვადასხვა ტიპის წერითი ტექნიკებისა და აქტივობების განვითარება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს სამი ტიპის მიდგომა წერის სწავლებისას: პროდუქტზე ორიენტირებული, რომელიც გულისხმობს ფორმაზე მუშაობას, პროცესზე ორიენტირებული, რომელიც გულისხმობს განვითარების სხვადასხვა ეტაპებს და ჟანრზე ორიენტირებული, რომელიც მთლიანადა კონცენტრაციას აკეთებს მკითხველზე. ამ მიდგომებთან ერთად, ინგლისური ენის მასწავლებლები მუშაობენ ისეთი სტრატეგიების განვითარებაზე, როგორიცაა იერიში გონებაზე, იდეების გენერირება, მონახაზების გაკეთება, რედაქტირება, კორექტირება და ა.შ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს უნივერსალური წერის სწავლების მეთოდი, რომელიც გაითვალისწინებს ყველა ზემოთაღნიშნულ მნიშვნელოვან ფაქტორს. წერის სწავლების პროცესში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა მოტივაციის როლს. მიიჩნევა, რომ მოტივირებული სტუდენტის ჩართულობა სწავლება-სწავლის პროცესში არის ძალიან მაღალი და შესაბამისად, პროდუქტიულიც.

მეორე თავი- განათლების ტექნოლოგიებისა და ფილმების ზეგავლენა წერის სწავლების პროცესზე

ზოგადად, განათლების ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ წერის უნარის სწავლებისა და სწავლის პროცესში. წერის სწავლების მიდგომებში მკვეთრი ცვლილება გამოიწვია ვებ 2 აპლიკაციების ინტეგრირებამ. ვებ 2 აპლიკაციების დახმარებით, სოციალური გარემო არ შემოიფარგლება მხოლოდ მასწავლებლით. ამ სამუშაო პროცესში ჩართულნი არიან სხვა მკითხველები, თანატოლები და ონლაინ მონაწიილეები. წერით პროექტებზე მუშაობისას გამოიკვეთა ისეთი ფორმები როგორიცაა ინდივიდუალური, წყვილში და ჯგუფური მუშაობა. ვებ 2 აპლიკაციების ინტეგრირება სწავლის პროცესში გულისხმობს გუნდური და თანამშრომლობითი მუშაობისთვის საჭირო გარემოს შექმნას. ბოლო წლების განმავლობაში, დიდი ინტერესი გაჩნდა ბლოგებისა და ვიკების მიმართ. ეს აპლიკაციები, ბევრი მკვლევარის

მიერ მიიჩნევა წერის უნარის განვითარების საუკეთესო საშუალებად. ბლოგი არის ინტერაქტიული გვერდი, სადაც სტუდენტებს მარტივად შეუძლიათ ატვირთონ თავიანთი ნამუშევრები ვირტუალურ გარემოში. აპლიკაცია საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოხატონ თავიანთი აზრები და შთაბეჭდილებები თემის ირგვლის, რაც ხელს უწყობს წერით ინტერაქციას, ჩართულობას წერის პროცესში და შესაბამისად, წერითი კომპეტენციის განვითარებას.

ინგლისური ენის წერითი უნარის სწავლების თანამედროვე მიდგომებში ვიკის ძალიან დიდი ადგილი უკავია. ვიკის საშუალებით დიდი მოცულობის ინფორმაციის მოგროვება და ანალიზია შესაძლებელი ონლაინ. ვიკი საშუალებას აძლევს სტუდენტებს დაამყარონ ურთიერთკავშირი სოციალურ გარემოსთან კომუნიკაციის ისეთი წყაროების მეშვეობით, როგორიცაა აუდიო ფაილები, ანიმაციები, ვიდეოები და მულტიმედია. უფრო მეტიც, ვიკის მარტივი რედაქტირების სტრუქტურა არ მოითხოვს მაღალი დონის ტექნიკურ ცოდნას და საშუალებას აძლევს ყველა სტუდენტს მონაწილეობა მიიღოს თანამშრომლობითი ტიპის დავალებების შესრულებაში. წერის პროცესში თანამშრომლობითი უნარის განვითარება ერთმანეთის აზრის გათვალისწინებით ეხმარება სტუდენტებს გახდნენ უფრო კარგი მწერლები. ვიკის პლატფორმაში არსებული დავალების ტიპები წერითი კომპეტენციის თანამედროვე მოთხოვნებს ემსახურება.

განათლების ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი როლის განსაზღვრასთან ერთად, ეს თავი განიხილავს ფილმების ზეგავლენას წერის უნარის სწავლებისას. სახელმძღვანელოებისგან განსხვავებით, ფილმებში გამოყენებული ბუნებრივი ენა და კონტექსტი უფრო მომხიბვლელია სტუდენტისთვის . ფილმი გამოიყენება, როგორც ენის შესწავლის მდიდარი წყარო, რადგან ის მოიცავს მისი გამოყენების ზუსტ კონტექსტსა და რეალურ სიტუაციებს, სადაც გამოყენებულია მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ადამიანების სხვადასხვა გამოთქმის ნიმუშები. ფილმების გამოყენება ინგლისური როგორც უცხოური ენის შესწავლის პროცესში საშუალებას აძლევს

სტუდენტებს გაეცნონ სამიზნე ენის კულტურას და შეისწავლონ ენისთვის დამახასიათებელი ყველა მნიშვნელოვანი თვისება. ფილმების მეშვეობით შესაძლებელია ახალი ლექსიკური ერთეულების შესწავლა კონტექსტში და ინფორმაციის მიღება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საინტერესო იდეების გენერირებისთვის წერითი დავალების შესრულებისას. ფილმის ყურებისას სტუდენტებს შეუძლიათ დაწერონ კრიტიკული ანალიზი. მსგავსი მიდგომა ანვითარებს ინფორმაციული, არგუმენტირებული და წინააღმდეგობრივი ესეების წერას.

მესამე თავი- ციფრული აპლიკაციებისა და ფილმების ინტეგრირების სტრატეგიები წერითი უნარის სწავლებისას

დისერტაციის მიზნებიდან გამომდინარე, ციფრული აპლიკაციებისა და ფილმების ინტეგრირების სტრატეგიები დიდი ყურადღებით შეირჩა მკვლევარის მიერ. ყველაზე კრიტიკული ნაწილი იყო შესაფერისი ფილმების შერჩევის პროცესი ინგლისური როგორც უცხოური ენის წერითი უნარის სწავლების მიზნებისთვის. პროცესი საკმაოდ რთული იყო და მოითხოვდა სრულყოფილ დაგეგმვას. დისერტაციაში განხილული სხვა მკვლევარების მიერ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით მოხდა ფილმების შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება მკვლევარის მიერ. შესაბამისობა, ლექსიკა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებები იყო ამოსავალი წერტილი კრიტერიუმების შემუშავებისას, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 1- ფილმების შერჩევის კრიტერიუმები

შესაბამისობა	გულისხმობს ფილმის შინაარს და წერითი დავალების თემატიკას
ლექსიკა	ფილმში გამოყენებული ენის შესაბამისობა სტუდენტის ენის დონესთან
პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებები	ა) არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პოლიტიკას; ბ) არ უნდა აკნინებდეს და პროპაგანდას უწევდეს რომელიმე რელიგიას
პოპულარობა	შერჩეული ფილმი უნდა იყოს პოპულარული, რაც უფრო საინტერესო იქნება სტუდენტებისთვის

ამ თავში მკვლევარი წარმოადგენს დეტალურ აღწერას იმ აქტივობების, რომელიც გამოყენებულ იქნა ექსპერიმენტის დროს. აქტივობებში განხილულია მიზანი, პროცედურის დეტალური აღწერა, სწავლის შედეგები და სასწავლო რესურსები, რაც საშუალებას მისცემს ინგლისური ენის მასწავლებლებს, სურვილის შემთხვევაში, გამოიყენონ ეს აქტივობები შეთავაზებული მოდელის განხორციელებისას.

მეოთხე თავი- მეთოდოლოგია და პროცედურები

კვლევის დიზაინი და სტრატეგია

დისერტაცია მოიცავს ხუთ კვლევას. პირველი კვლევა მიზნად ისახავდა აზერბაიჯანელი სტუდენტების დამოკიდებულების განსაზღვრას ინგლისური როგორც უცხოური ენის წერის გაკვეთილების მიმართ. კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ ონლაინ კითხვარები. მეორე კვლევა შეისწავლის მათი მზაობის დონეს ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებაში. საჭირო ინფორმაციის მისაღებად დარიგდა კითხვარები და შეჯამდა მონაცემები. ორივე ზემოთაღნიშნული რაოდენობრივი კვლევის ანალიზების შედეგად შემუშავდა და განხორციელდა ექსპერიმენტი ქაფქაზის უნივერსიტეტში. სტუდენტების დონის

გათვალისწინებით მოხდა მათი შემთხვევითი გადანაწილება საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში. ექსპერიმენტის დაწყებიდან ორ კვირაში ექსპერიმენტული ჯგუფში ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა (SurveyMonkey). გამოკითხვის მიზანი იყო სტუდენტების დამოკიდებულების გაგება განხორციელებული ინოვაციური მოდელის შესახებ. ექსპერიმენტი გაგრძელდა ორი სემესტრის განმავლობაში, ერთი აკადემიური წელი (2015 წლის მარტი-2016 წლის დეკემბერი). ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ ჩატარდა შემდგომი გამოკითხვა სტუდენტების კმაყოფილების დონის დასადგენად. რვა, მოხალისე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ინტერვიუში (იხილეთ კვლევის დიზაინის ცხრილი).

ცხრილი 2- კვლევის დიზაინი

კვლევა	**კვლევის მიზანი**	**მონაცემთა შეგროვების მექანიზმები**
კვლევა 1: აზერბაიჯანელი სტუდენტების დამოკიდებულება ინგლისური როგორც უცხოური ენის წერის გაკვეთილების მიმართ	გაგვერკვია თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ სტუდენტებს აზერბაიჯანის სხვადასხვა უნივერსიტეტებში ინგლისური როგორც უცხოური ენის წერის უნარის მიმართ	ონლაინ კითხვარი
კვლევა 2: სტუდენტების ინტერესი ფილმებში და თანამედროვე ტექნოლოგიებში.	მათი მზაობის დონის განსაზღვრა ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებაში.	ონლაინ კითხვარი
კვლევა 3: ექსპერიმენტი- ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიების გამოყენება აზერბაიჯანელი სტუდენტების წერითი უნარ-ჩვევების განსავითარებლად და მათი	ა. სტუდენტების აზრის გაგება ახალი მოდელის შესახებ ბ. სტუდენტების პროგრესზე დაკვირვება გ. სტუდენტების მოტივაციის დონის განსაზღვრა	ა. ონლაინ კითხვარი ბ. ესეების წერა **1.** წინამდებარე ტესტი **2.** შუალედური ტესტი 1 **3.** შუალედური ტესტი 2 **4.** შემდგომი ტესტი

მოტივაციის დონის ზრდა წერის გაკვეთილებზე		
კვლევა 4: სტუდენტების კმაყოფილების დონე	სტუდენტების კმაყოფილების დონის დადგენა	ონლაინ კითხვარი
კვლევა 5: ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების შთაბეჭდილებები	ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების მოსაზრებების გაგება განხორციელებული მოდელის შესახებ	ინტერვიუ

პირველ კვლევაში, რომლის მიზანი იყო აზერბაიჯანელი სტუდენტების დამოკიდებულების გარკვევა ინგლისური როგორც უცხოური ენის წერის გაკვეთილების მიმართ, მონაწილეობა მიიღო 360 სტუდენტმა. გამოკითხვის შედეგად, აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანელი სტუდენტების აზრით წერის უნარის განვითარების პროცესი მოსაწყენია და დავალების ტიპები არ არის საინტერესო. სტუდენტებმა არც სწავლების მეთოდების მიმართ გამოხატეს დიდი მოწონება. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ერთერთ სირთულედ სტუდენტებმა აზრების ჩამოყალიბება დაასახელეს. კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ აუცილებელია წერის უნარის სწავლების მეთოდებში სიახლის შეტანა და ზოგადად, ასრებული უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლა აზერბაიჯანში.

მეორე კვლევაში, რომლის მიზანი იყო მზაობის დონის განსაზღვრა ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებაში, მონაწილეობა მიიღო 442 სტუდენტმა. კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა მკვლევარის მიერ შემუშავებული მოდელის ინტეგრირების შესაძლებლობა შემდგომი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ტექნიკური მოწყობილობების ხელმისაწვდომობა აზერბაიჯანში
- დრო, რომელსაც სტუდენტები ხარჯავენ ელექტრონულ მოწყობილობებზე და ინტერნეტზე

- სტუდენტების დიდი ინტერესი სოციალური მედიის მიმართ
- სტუდენტების მოსაზრებები, რომ კარგი იქნება ტექნოლოგიების სწავლის პროცესში გამოყენება
- ინგლისურად ფილმების ყურების ინტერესი
- სწავლის პროცესში ფილმების გამოყენება
- ინგლისური ტიტრებით ფილმების ყურება
- სტუდენტების მოსაზრებები, რომ კარგი იქნება ფილმების სწავლის პროცესში გამოყენება

ამის შედეგად, კვლევამ აჩვენა, რომ აზერბაიჯანელ სტუდენტებს აქვთ ძალიან დიდი პოტენციალი გამოიყენონ განათლების ტექნოლოგიები და ფილმები სასწავლო პროცესში.

მესამე კვლევაში, რომლის მიზანი იყო ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიების გამოყენება აზერბაიჯანელი სტუდენტების წერითი უნარ-ჩვევების განსავითარებლად და მათი მოტივაციის დონის ზრდა წერის გაკვეთილებზე, მონაწილეობა მიიღო ქაფქაზ უნივერსიტეტის ენათა სკოლის სტუდენტებმა. სტუდენტების ინგლისური ენის დონე იყო საშუალო. ექსპერიმენტისთვის შეირჩა ოთხი ჯგუფი მათი დონის გათვალისწინებით. თითოეულ ჯგუფში იყო 15-16 სტუდენტი. ექპერიმენტი გაგრძელდა ორი სემესტრის განმავლობაში. სტუდენტების პროგრესზე დაკვირვება მოხდა მათი ნაწერების შეფასებისთვის შექმნილი რუბრიკის მეშვეობით. ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა მნიშვნელოვანი ზრდა სტუდენტების აკადემიურ განვითარებაში. იხილეთ ქვემოთმოცემული ცხრილი დეტალებისთვის.

ცხრილი 3- ექსპერიმენტის შედეგები

	საკონტროლო ჯგუფი	ექსპერიმენტული ჯგუფი	საკონტროლო ჯგუფი	ექსპერიმენტული ჯგუფი

	2015-2016 (გაზაფხული)				2015-2016 (გაზაფხული)				2016-2017 (შემოდგომა)				2016-2017 (შემოდგომა)			
მონაწილეები	32(14 მდედრობი/ 18 მამრობითი)				32 (13 მდედრობი/ 19 მამრობითი)				32 (16 მდედრობი/ 16 მამრობითი)				32(15 მდედრობი/ 17 მამრობითი)			
დონე	საშუალო				საშუალო				საშუალო				საშუალო			
სწავლების მექანიზმები	რეგულარული გაკვეთილი\ სახელმძღვანელოები				რეგულარული გაკვეთილი\ფილმები \ვიკი\ბლოგი				რეგულარული გაკვეთილი\ სახელმძღვანელოები				რეგულარული გაკვეთილი\ფილმები \ვიკი\ბლოგი			
პროგრესი ტესტებში	წინამ დება რე	შუალედ ური 1	შუალედ ური 2	საბო ლოო	წინამ დება რე	შუალე დური 1	შუალედ ური 2	საბო ლო ო	წინამდ ებარე	შუალედ ური 1	შუალედ ური 2	საბოლ ოო	წინამდ ებარე	შუალედ ური 1	შუალედ ური 2	საბო ლოო
	22.18	22.78	24	24.68	22.21	24.69	25	27.01	71.34	74.28	75.56	77.31	71.81	76.4	80.5	86.28
	პირველ ექსპერიმენტში შედეგები შეფასდა 30 ქულიდან								მეორე ექსპერიმენტში შედეგები შეფასდა 100 ქულიდან							

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანდათანობითი ზრდა შეიმჩნევა ორივე ჯგუფში. საკონტროლო ჯგუფში წინამდებარე ტესტის საშუალო შედეგი იყო 71.34 პირველ შუალედურ ტესტში და გაიზარდა 74.28- მდე პირველ შუალედურ ტესტში. შესაბამისად, მეორე შუალედურ ტესტში მიღებული საშუალო ქულა 75.56 გაიზარდა 77.31- მდე საბოლოო ტესტში. ექსპერიმენტულ ჯგუფში წინამდებარე ტესტის საშუალო შედეგი იყო 71.81 პირველ შუალედურ ტესტში და გაიზარდა 76.4- მდე პირველ შუალედურ ტესტში. შესაბამისად, მეორე შუალედურ ტესტში მიღებული საშუალო ქულა 80.55 გაიზარდა 86.28 - მდე საბოლოო ტესტში.

მეოთხე კველავაში, რომლის მიზანი იყო სტუდენტების კმაყოფილების დონის დადგენა, მონაწილეობა მიიღო ექსპერიმენტული ჯგუფის 59 სტუდენტმა. მიღებულმა შედეგებმა მოლოდინები გაამართლა. მიღებულმა შედეგებმა ცხადყო ექსპერიმენტში მონაწილე სტუდენტების მზაობისა და კმყაოფილების მაღალი დონე შეთავაზებული მოდელის განხორციელების პროცესში. ტესტის შედეგებმა, დაკვირვების პროცესმა და გამოკითხვამ აჩვენა განათლების ტექნოლოგიებისა და ფილმების წერის უნარის განვითარების პროცესში ინტეგრირების ეფექტიანობა. გამოკითხული აზერბაიჯანელი სტუდენტების მიხედვით, მსგავსი ინოვაციური მეთოდის გამოყენება ეფექტიანი იქნება სხვა გაკვეთილებზეც. სტუდენტების აზრით, ექსპერიმენტში

გამოყენებული ციფრული აპლიკაციები ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას, რაც თანამედროვე მიდგომებში არსებულ სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას აძლიერებს.

მეხუთე კვლევაში, რომლის მიზანი იყო ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების მოსაზრებების გაგება ინტერვიუს ფორმატში, სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღო რვა სტუდენტმა. სტუდენტების გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ეს მიდგომა განსაკუთრებულად სასარგებლოა წინამდებარე ტიპის წერითი აქტივობის დროს, როდესაც სტუდენტები აკეთებენ გონებრივ იერიშს. სტუდენტების აზრით, ფილმების ყურებამ და შემდგომ ონლაინ პლატფორმაში მათი აზრების გამოხატვამ მათ განუვითარა კრიტიკული აზროვნება. მსგავსი ტიპის დავალებებით, მათ შეეძლოთ ანალიზი, სინთეზი და ინფორმაციის შეფასება, რაც დადებითად აისახა მათი წერითი კომპეტენციის განვითარებაზე. ერთერთ უპირატესობად დასახელდა სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დროის მონაკვეთში ტექნოლოგიების დახმარებით. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა სტუდენტს ჰქონდა ტექნიკური მოწყობილობა, ყველას თანაბრად ჰქონდა წვდომა დავალებებთან ონლაინ პლატფორმაში. სტუდენტებმა აგრეთვე აღნიშნეს ფილმების უპორატესობა სწავლის პროცესში ვიდრე სახელმძღვანელოების.

ერთერთი სტუდენტის აზრით, მსგავსი მიდგომა ხელს უწყობს მორცხვ სტუდენტებს, რომლებიც კომფორტულად ვერ გრძნობენ თავს საკლასო აქტივობების დროს, გამოხატონ და გამოავლინო თავიანთი შესაძლებლობები ონლაინ პლატფორმაში. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება მეგობრულ გარემოს ქმნის სტუდენტებს შორის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს წერითი უნარის განვითარების პროცესს.

უნდა აღინიშნოს სტუდენტების სურვილი, რომ მოხდეს მსგავის ტიპის მიდგომების შემუშავება სხვა გაკვეთილებშიც (მოსმენა, კითხვა, საუბარი), რაც ძალიან პროდუქტიული იქნება სტუდენტებისთვის.

დასკვნები და რეკომენდაციები

- ლიტერატურის მიმოხილვაში განხილული მონაცემების შედეგად შეიძლება დავასკვნათ წერითი კომპეტენციის მნიშვნელოვანი როლი კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში ინგლისური როგორც უცხოური ენის შესწავლისას. ზოგადად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ წერითი უნარის მაღალ დონეზე განვითარება პროფესიული წარმატების გარანტიაა სწრაფად განვითარებად და ცვალებად სამყაროში.
- ტექნოლოგიურმა სიახლეებმა ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინა განათლების სფეროს ყველა მიმართულებაზე. მასწავლებლები ქმნიან ტექნოლოგიით გაჯერებულ რეალობას საკლასო ოთახებში, რათა გაითვალისწინონ სტუდენტების, რომლებსაც აქვთ თანდაყოლილი ციფრული უნარები, მოლოდინები, მოთხოვნები და სურვილები. შეიცვალა ტრადიციული სწავლების მეთოდები და გადავიდა განვითარების ახალ ეტაპზე საკლასო ოთახში სხვადასხვა ტიპის ციფრული აპლიკაციების ინტეგრირებით.
- შესაბამისად, ლიტერატურის მიმოხილვა ხაზს უსვამს ვებ 2 აპლიკაციების ინტეგრირების ეფექტიანობას ინგლისური როგორც უცხოური ენის წერითი კომპეტენციის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას თანამშრომლობითი ტიპის დავალებებში. მსგავსი ტიპის მექანიზმების გამოყენება ხელს უწყობს წერის გაკვეთილზე ინტერაქციის ზრდას. ვებ 2 აპლიკაციების გამოყენება წერითი დავალებების შესრულებისას საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ სწრაფი უკუკავშირი ონლაინ. წერით დავალებაზე მუშაობის ეს ფორმა სტუდენტს აძლევს საშუალებას გააკეთოს ტექსტის რედაქტირება, გამოთქვას აზრი და გააკეთოს კომენტარი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასეთ შემთხვევაში სტუდენტები ხდებიან უფრო ორგანიზებულები იდეების გენერირების პროცესში და იცავენ ენობრივ სიზუსტეს ბლოგებზე და ვიკიში წერის პროცესში, რადგან მათი ნაშრომი იკითხება მათი თანატოლების მიერ.

- ლიტერატურის მიმოხილვა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ფილმების ინტეგრირებას ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერით გაკვეთილზე. შეიძლება დავასკვნათ, რომ ფილმი არის ენის შესწავლის მდიდარი წყარო, რადგან ის მოიცავს მისი გამოყენების ზუსტ კონტექსტსა და რეალურ სიტუაციებს, სადაც გამოყენებულია მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ადამიანების სხვადასხვა გამოთქმის ნიმუშები. ფილმების მეშვეობით შესაძლებელია ახალი ლექსიკური ერთეულებისა და ფუნქციური ენის შესწავლა კონტექსტში და ინფორმაციის მიღება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საინტერესო იდეების გენერირებისთვის წერითი დავალების შესრულებისას. ფილმების გამოყენება ინგლისური, როგორც უცხოური ენის შესწავლის პროცესში საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაეცნონ სამიზნე ენის კულტურას, რაც დაეხმარება მათ წერონ კონტექსტისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.
- კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანელ სტუდენტებს არ აქვთ დადებითი დამოკიდებულება ინგლისური როგორც უცხოური ენის წერის გაკვეთილების მიმართ მისი სირთულიდან გამომდინარე. ბევრმა კვლევამ დაადასტურა სტუდენტების ნაკლები ჩართულობა და აქტიურობა წერის გაკვეთილებზე. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ წერა თვით მშობლიურ ენაზეც კი საკმაოდ რთულია. აგრეთვე, სირთულეების მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი გარემოებები: ინგლისური ენისა და ზოგადი ცოდნის დაბალი დონე, რომელიც ხელს უშლის აზრების გენერირებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს შეუფერებელი სწავლების მეთოდების, არასწორი ტექნიკებისა და სტრატეგიების დიდი როლი მსგავსი სირთულეების ფორმირების პროცესში. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელ სტუდენტებს აქვთ მოტივაციის დაბალი დონე ინგლისური როგორც უცხოური ენის წერის გაკვეთილზე, მათ გააზრებული აქვთ წერითი კომუნიკაციური უნარის მნიშვნელობა. მიღებული შედეგი იმედისმომცემია რეგიონისთვის.

- მეორე კვლევიდან მიღებულმა შედეგებმა გვაჩვენა აზერბაიჯანელი სტუდენტების მაღალი მზაობა, რათა მოხდეს ფილმებისა და განათლების ტექნოლოგიების ეფექტიანი ინტეგრირება წერის გაკვეთილზე. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ აზერბაიჯანში ხელმისაწვდომია ტექნოლოგიები. სტუდენტები თავიანთი დროის დიდ ნაწილს უთმობენ სოციალურ მედია საშუალებებს, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ შევქმნათ ტექნოლოგიით გაჯერებული გარემო საკლასო ოთახში.
- შემუშავებული, განხორციელებული და შემოწმებული მოდელი, რომლის ფორმირებაც მოხდა მანამდე ჩატარებული ყველა კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ეფუძნებოდა იმ ჰიპოტეზას, რომ ფილმების გამოყენებით განათლების ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აქტივობები ანვითარებს ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერით უნარ-ჩვევებს და ზრდის სტუდენტების მოტივაციას. ექსპერიმენტის შედეგების შეფასებამ გვაჩვენა სტუდენტების ეტაპობრივი განვითარების დინამიკა წერის კომპეტენციაში. პირველი ექსპერიმენტის დროს, შედეგები ექსპერიმენტულ ჯგუფში 22.21-და 27.01- მდე გაიზარდა (მაქსიმალური ქულა-30). მეორე ექსპერიმენტის დროს, შედეგები ექსპერიმენტულ ჯგუფში 71.1-და 86.28- მდე გაიზარდა (მაქსიმალური ქულა-100). ზრდის დინამიკა შესამჩნევია აგრეთვე საკონტროლო ჯგუფში. პირველი ექსპერიმენტის დროს, შედეგები საკონტროლო ჯგუფში 22.18-და 24.68- მდე გაიზარდა (მაქსიმალური ქულა-30). მეორე ექსპერიმენტის დროს, შედეგები საკონტროლო ჯგუფში 71.34-და 77.31- მდე გაიზარდა (მაქსიმალური ქულა-100). ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგები ნათლად ასახავს სტუდენტების მიღწევებს წერის უნარის განვითარებაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დაკვირვების პროცესმა, შემდგომი კითხვარისა და ინტერვიუს ანალიზმა გვიჩვენა მოტივაციის ზრდა სტუდენტებში. კვლევის შედეგები ხაზს უსვამს სტუდენტების დიდ სურვილს მოხდეს ფილმებისა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება წერითი

უნარ-ჩვევის სწავლების პროცესში. მიღებული შედეგები თანხვედრაშია შემდეგ კვლევებთან (Baratta & Jones, 2008; Esra & Tjut, 2013; Lin & Yang, 2011)

- შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია რეკომენდაცია გავუწიოთ ინგლისური ენის მასწავლებლებს, რომ მოახდინონ ტექნოლოგიით გაჯერებული რეალობის საკლასო ოთახში რეალიზება, სადაც ციფრული თაობის მაღალი ჩართულობა გარანტირებული იქნება.

შემდგომი კვლევის პერსპექტივები

- შემდგომი კვლევისთვის საინტერესო იქნებოდა უფრო ფართო მაშტაბი, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ასაკისა და ენობრივი დონის გათვალისწინება. აგრეთვე, მნიშვნელოვანი იქნება შევისწავლოთ სხვადასხვა ტიპის აქტივობებისა და სტრატეგიების გამოყენება ფილმებისა და ციფრული აპლიკაციების ინტეგრირების პროცესში.

პუბლიკაციები, რომელშიც აისახება დისერტაციის ძირითადი იდეები

Aliyev, A., & Albay, M. (2016). Bridging the Gap between Theory and Practice: The Use of Films in Language Learning. *International Journal of Social Sciences & Educational Studies, 2*(3), 13-18.

Aliyev, A., & Ismayilova, K. (2017). Improving English Writing Skills of Non-Native Undergraduate Learners with The Help Of Movies Supported By Online Technologies. *Journal of Education in Black Sea Region, 2*(2), 2-16.

Aliyev, A. (2017). Transformation of traditional EFL instruction into Web 2.0: Azerbaijani Undergraduate Students' Readiness to Use Online Technologies in EFL Lessons. *International Journal of Social Sciences & Educational Studies, 4* (3), 49-57.